

რედაქცია: სოლომონ გურია, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანონის რა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მომზრი: მილება კანტონიში. ბარეშე მცხოვრებთავის: ვ. თელის. ვ. რედაქციის განვითარება.

გაცემის ფასი: მთელის ჭლის — 8 გან., ნახევარ ჭლის — 4 გან., და სუკ., ოხის ფის — 3 გან., ერთის ფის — 1 გან.

უმოსი რედაქცია და მომზრი ის ჩვენს აგნეტებს, როგორთაც რედაქციასთან თავიათი ხელის-მომზრის განვითარების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა ავთ, რაც უძინდება გალე გასწორები ანგარიში და ხელი უძლი გაცემისა ზამოგზავნო რედაქციაში.

ტელეგრამები

(ოფიციალური)

გრძოლის ველიდამ


შესრუ-დარა, 14 ივნის. ცენტრალმა ლორის-მელიქოვმა დათვალიერა ადგილები ანისაკენ. მსმალოს კავალერია ქვეყნითა ჯარითა და არტ-ლერით გამოვიდა ალაჯა-დარის ბანაკიდამ; მაგრამ როცა ჩვენი ჯარიდამ თოფისა და ზარბაზნის სროლა შეიქნა და როცა დაინახეს, რომ ჩვენების დასახმარებელად ახალი ჯარი მოდიოდა, მსმალოები ისევ უკან წავიდნენ თავის ბანაკში.

შესრუ-დარა, 15 ივნის. მოსკოვის სანიტარული ატრიადი მოვიდა ალექსანდრავლიში.

გვლა, 13 ივნის. 9 ივნისს შირიმის კიდევბთან გამოჩნდა მსმალოს ხომალდები ალუშტისა და მარაიუშის პირდა-პირ. შუალამეზე ჩვენები ნავებით წავიდნენ იმათ დასაზვერებად, და ამ დროს მტერმა ზარბაზნები ესროლა ამათ, მაგრამ ვერა აენო-რა. შემდეგ მსმალებმა ერთი ართქლის პატარა ხომალდი გამოგზავნეს ნაპირისაკენ; ჩვენშა ქვევითა ჯარმა თოფის სროლით განდევნა ის. მეორე დღეს ხომალდები წავიდნენ აქედამ. მათი მსმალოს ხომალდი პარმენიტან გამოჩნდა.

ლონდონი, 15 (27) ივნის. მულვიჩის არსენალში გაცხარებული მუშაობა; სამხედრო მინისტრის განკარგულებით, აქ ამზადებენ მინდვრის ზარბაზნებს.

შოველ დღე თრიუმბაზ გარდა



ცალკე ნოვერი დის შაშრათ

კორტრაშუტ, 15 ივნის. ხომალდი „Fuphratus“ წავიდა მალტისა და ბიბრალტარისაკენ 1841 სალდათითა და 40 აფიციონით.

3265, 15 ივნის. ბაზეთს „Neue Freie Presse“-ში დაბეჭდილია ტელეგრამა, რომ მიკტხალ-ფაშა გამოიხმო სულთანმა სუამბოლ შიო; ის უკვე წავიდა პლამბიერიდამ და გენაზე გაივლისო.

ლონდონი 14 ივნის. ინგლისის სტამბოლელ ელჩა ლეიიანდმა მოიწერა ლონდონში დეპუშა, რომელშიაც ამბობს, რომ იმ ბარბაროსიაშის თაობაზე, რომელსაც მაჰმადიანებს აბრალებენ, სულთანმა სტევან, რომ სანამ რუსები არ მოიშლიან ბრიტანიაში მცხოვრებლების აჯანყებას, იმის მმართებლობისათვის ძალიან მნელი იქნება, რომ ხალხის შერის-ძიება და ბრაზი შეაჩეროს.

ლონდონში შეკრებილს მიტრინგზე ჯონ ბრაიტმა სტევან, რომ აღმოსავლების სტევში ინგლისი არცერთ მეომარ მხარეს არ უნდა მიუდევსო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ინგლისის წინააღმდეგ მთელი მერობის სახელმწიფოების კოალიცია შესდევსო. ზარნინგტონიც თხოულობდა, რომ ამ რუს-მსმალოს ბრძოლაში ინგლისმა სასტიკი ნეიტრალობები უნდა დაიცვას.

ომის ამები

აზიის გრძოლის ველიდამ

გუსა-ესტატე, 12 ივნის. („დროების“ კორესპონდენცია). მადლობა ლმერთს, ეს ერთი თვეა, ჩვენს ატრიადში მშეიდობიანობაა; მხოლოდ ამ უკანასკნელი ოხი დღის განმავლობაში თითქმის განუწყვეტელმა წეიმამ კი სული და ხორცი შეგვიწუხა.

მობულების პირ-და-პირ, ზღვაში, გაჩერებულია მსმალოს ორი ჯავშნიანი ხომალდი; მესამე ამათი ამ გვარივე ხომალდი მუდამ იქით-აქეთ დაიარება და ზღვის ნაპირებს ათვალიერებს.

განცხადება: მილება ქრისტენის, რუსულს, სომხურს და სსკ. ერებული უსი განცხადება: ასო ბანში — 1 კა. ასო-მთავრული სტრიქონშე — 8 კა. ჩეველებრივის ციცერონი — 5 კა., პატარა — 4 კა.

რედაქციას უფლება აქვს გაასტორის და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ბაშის-კარვების სიმრავლე შეიტანაქ მობულეთში, ხუც-უბანში და სხვა ჩევენ ნადგომ აღილებზე გეიმტკიცებს, რომ ამ მხრით ჩევენს მოწინააღმდეგებს ბლომათა ჰყავს ჯარი, თუმცა, უეჭველია, რომ იმდენი ჯარები კი აღარა ჰყავთ ახლა აქ ისმალოებს, რაც აღრე ჰყავთ ახლა. უბრალო თვალითაც კარგათ ვხედავთ ჩევენ იმათ ბანაკს და ყველაფერს რაც ამ ბანაკში მოძრაობა.

ციხის-ძირის გადმოლმა მთებზედ, ძეირის ბოლოს, 12 ივნისამდინ იმდენი მსმალოს ბაშის-კარვები იყო, რომ დათვლაც არ შეიძლებოდა; ახლა აქ იმის მესამედიც აღარა ხანს.

ნიზამის ჯარები თავის ბანაკებიდამ ფეხს არ იცვლიან, მობულეთლებისაგან გვაქვს საქმე გაჭირებული: ტურასავით დაეცრებიან; ხან დღისით, ხან ღამით შემოგვეპარებიან მუხა-მსტატის მახლობლად და ისეთს სროლას აგვიტეხნ, რომ კაცს ეგონება, რომ აქ ერთის და მორის მხრით რამდენიმე ათასი კაცი იძრდებისო; მაგრამ, რომ გათენდება, შევიტყობთ, რომ ერთი ან ორია ჩევენის მხრით დაჭრილი მოწინავე (ყარაული) ჯარში. ხშირად სულ ტუშილ-უბრალოდ, ჰერები სროლას შეჭმნიან, თითქმ განგებ მხოლოდ იმისათვის, რომ მოსვენება არ მოგვცენ. ხშირად თითო-ორთულა ქობულეთელი ლუზურებიდამ მუხა-მსტატეს მიმავალ მგზავრებსა და ფორმას უხედება; მაგრამ ამ გვარის მოქმედებით ვერაფერს ხვდებიან. განსაკუთრებით ხშირად ეცემიან ეს მოუსვენარი ქობულეთლები თ. გ. ბურიელის გურულ დრუჟინის. ამას წინათ თ. გ. ბურიელმა მოკლა ერთი ამ ნაირად მაწან-წალა თათარი და დანარჩენებს თარი თოფი დაატოვებინა და ერთი ფეხი. თ. გ. ბურიელის კაციებსაც ხშირად მოუხდებიან ხოლმე, მაგრამ თითქმის ყოველთვის უარარაოთ ბრუნდებიან.

ამ მოუსვენარმა ცხოვრებამ, თუმცა, მართალია, ძალიან შეგვაწუხა, დაგექნუცა (ამათი მიზანიც, მგონი, ეს არის), მაგრამ მაგიერად ძალიან გაგვწროვნა ამათთან ბრძოლის საქმეში; ახლა ჩევენ თითქმის შეუცდომელად შეგვიძლიან წინა

ნათვე თქმა—როდის არის საშიშო იმა-
თი თავს-დასხმა და როდის არა.

შესლა ეს სულ ბლი-ფაშის (თავდგი-
რიძის) საქმეა, რომლის წინამშრომლო-
ბითა, პლანით და ჩაგონებით მოქმედე-
ბენ ჩვენ წინააღმდეგ ქობულეთლები, იმ
ალი-ფაშისა, რომლის ჩვენკენ მომხრო-
ბას ერთ დროს ვფიქრობდით...

ამ თვის 9-ს ცხენისანი-ირჩევულია-
რის აფიცერი ზაიტოვი ოც-და-ათის კა-
ციონ წავიდა შობულეთისაკენ, ჩუმათ მი-
ეპარა მსმალოს მოწინავე, ყარაულად
დაყენებულ ჯარს და უეცრად დაუშინა
თოვები, თითო კაცმა ოთხ-ოთხი ტყვია
დაცალა; თოვის სროლა შობულეთის
ჯარმა გაიგო, შეიქნა იქ საშინელი ფა-
ცა-ფუცი, რამდენიმე ბატალიონი დაინ-
ტა და გამოსწია იქითკენ, საცა შეტა-
კება იყო. მაგრამ ამ დროს ზაიტოვმა
საჩქაროთ უკან დაბრუნა თავის მიღი-
ციონები. სამი დაჭრილი წარიყვანება
ჩვენებმა.

10-ს შობულეთს აქვთ, აჭყვის წყლის
პირათ, რამდენმამე ქობულეთელმა ჩვენს
ბანაკში შემოპარვა მოინდომა. 30 ცხე-
ნისანი მეორე დივიზიონის აზნაურობა
დახვდა ამათ წინ. შეიქნა სროლა, მს-
მალოებს რამდენიმე ზარბაზნის ტყვია
გამოსტუქს (დახარჯვინებს) და შემდეგ
ისინი უკან დაბრუნდნენ და ჩვენები ბა-
ნაკში მოვიდნენ უკანებელად.

აი ასე და ამნაირად მიღის ჩვენი ყო-
ველ დღიური ცხოვრება 12 ივლისს აქვთ.
შოველ დღე წერიმალი შეტაკება, ყო-
ველ დღე ხან იქით რბენა, ხან აქვთ, მო-
უსევნრობა, უძილობა...

8. ნიკ—შვილი

ნემეცურ გაზეთებს აცნობებენ სტამბო-
ლიდამ, რომ უკელვან, საცა კი რუსებმა
თავის ჩინოვნიკები დაყენებს მცირე აზია-
შა, ახლა მსმალოს კაიმაჯამები (უკა-
და უფროსები) და სხვა ჩინოვნიკები
არიან ისევ დანიშნულნიო.

რუსულსა და ზოგიერთს უცხო ქვე-
ყნის გაზეობში მცირე აზიაში მსმა-
ლების გამარჯვებას დენერალს ქემპელს
და ინგლისის სხვა აფიცერებს მიაწერენ.
ამ საგნის თაობაზე ერთს სტამბოლელ
გაზეთში („ჯერიდე ჰავალისში“) და-
ბეჭდილია შემდეგი სიტყვები:

„ხულ ტუუილ უბრალოთ ამბობენ
რუსები, რომ ვათომ მცირე აზიაში გა-
მარჯვებისათვის ჩვენ. ინგლისის აფიც-
ერებს უნდა უმაღლოდეთ. მცირე აზიაში
მყოფი ანატოლის არმიის მთავარ სარ-
დალი მუნიციპატა, ფეიზი-ფაშა და სხვ.
შეერად უფრო გამოცდილი და დახე-
ლოენებული არიან სამხედრო საქმეში,
ფინე ინგლის აფიცერები და ამიტომ
ამათი ჩემა და პლანები ჩვენს დენერ-
ლებს არაფრად ეჭირებათ. ვინ არ იცის,

რომ ინგლისი მხოლოდ ზღვაშია მარ-
ჯვე და ძლიერი და რომ ინგლისის აფი-
ცერები ხმელეთზე მეომარ ჩვენ ჯარს
ვერაფერში გამოადგებიან, კიდეც რომ
მოისურეონ და კიდეც რომ გვეპირებო-
დეს ჩვენ ამათი დახმარება რჩევითა და
პლანებითა.“

გაზეთის „გოლიც“-ის მე-148 ნომერ-
ში დაბეჭდილია 8 ივლისს თფილიი-
დამ გაგზავნილი დეპეშა, რომელიც
გვაცნობებს, რომ მავკასიის არმიას კი-
დევ პირველი, მეორე და მეორმოცვე
დივიზია ემატებათ; ამას გარდა ჩვენს
ქალაქში გაიარა დღეს ალექსანდრაპო-
ლისაკენ არტილერიამათ.

მუხთარ-ფაშის არმიაში მყოფი ლონ-
დონის გაზეთის „Times“-ის კორრეს-
პონდენტი იწერება, რომ ბაიაზეთთან
ბრძოლის დროს მსმალოების მხრით
400 კაცამდინ იყო მარტო დახოცილი
და, როგორც გვიჩვე, 3,000 კაცი დაჭ-
რილები არიან; ასე რომ ამისთანა
სისხლის ლერა აქეთკენ ჯერ-ჯერობით
არ ყოფილათ. შედელუება ეს არისო,
ამბობს კორრესპონდენტი, რომ მსმა-
ლოს არმიაში ექიმები არ იმყოფებიან
საქმაოთ; მე ვნახე თვითონ ჩემის თვა-
ლითო, რომ ოთხს ნემეცის ექიმს 500
კაცი მოუყვანეს; ამ ოთხ ექიმს უკელა
უნდა დაეხედნა, კელასთვის დაჭრილი
ალაგები შეეხეთ, ზოგისათვის ფეხი და
ზოგისათვის ხელი მოეჭრა, დაებანა, და-
ეწინა და სხვ. და სხვ. მების ლირსი
იყვნენ ეს ექიმები, რომელიც პაპა-
კება სიცხეში გარეთ იდგნენ და ხან
ერთს დაჭრილს მიხედავდნენ, ხან მეო-
რეს. მაგრამ უფრო გამაკვირვა მსმა-
ლოს სალდათებმა, რომელიც შესანი-
შნავის გულის სიმაგრით ითმენდნენ,
ხელ-ფეხის მოჭრას და ათას გვარ წვა-
ლებას და ამ დროს მწუხარებაც კი არ
ეხატებოდათ სახეზედ.

ბათუმის ფაშას დერვიშ-ფაშას შიუ-
წერია სტამბოლში, რომ 9 ივლისს რუსის
სამი ქვევითა ბატალიონი და ექვსი ეს-
კადრონი ცხენისანი ჯარი დაეცა მუს-
ტაფა-ფაშის ატრიადს, რომელიც ტყეში
დაბანაკებული იყოვო; მაგრამ ფიცხე-
ლი შეტაკების შემდეგ რუსები უკუ-
ვაქციეთო.

„ჰავასის აგნოტობაში“ იწერებიან
არზარუმიდამ, რომ 4 ივლისს მსმალოს
ერთს ატრიადს დაუჭერია სპარსეთიდამ
მომავალი ყარავანი, რომელსაც რუსები-
სა თვის სურასი მოჰქონდათ.

ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ის-
მაილ-ფაშა არზარუმის ვილაიეტში ახლა-

ძალად აგროვებს თავის ჯარისათვის
სურსათს, რადგან ნებრძო საკავშებულებებს,
ყველას მხოლოდ თავის დაწყებულებებს
დარჩენილი.

გაზეთს „Tiwas“-ის კორრესპონდენ-
ტი შარსიდამ იწერება:

„მუხთარ-ფაშა ამ ქამად (30 ივნისს)
შარსიდამ რვა ეტაზზედ არის დაბანაკე-
ბული რამდენსამე დიდს, ძალიან გამაგ-
რებულს მთებზედ. მე დავათვალიერე
რუსებისაგან შარსთან დატოვებული ბა-
ტარები; ძალიან კარგათ არის სიმაგ-
რები აშენებული, მაგრამ შარსიდამ
ნასროლს სამალოს უკმბარებს დიდი
ზიანი მიუტია ამათვეთის.

„აյ მოვიდა ამბავი, რომ რიონის
ატრიადიც უკან დაწყებულა ბათუმიდამ
(ციხის-ძირიდამ). ამბობენ, რომ ერთი
ნაწილი ამ ატრიადისა რუსებს ალექსან-
დროპოლისაკენ გამოუგზავნიათ, დენ-
ლორის-მელიქოვის კორპუსს უნდა
შეუერთდებო და მერე ეს კორპუსი
ხელ-ახლად დაწყებს მურუქ-დარადამ
შარსისაკენ გამოწვევასათ.“

რუსულს გაზეთს „Новое Время“-ში
მურუქ-დარადამ იწერებიან, რომ 7 ივ-
ლისს, ჩენისა და მსმალოს ჯარს შეუ-
ტაკება მოხდა სუბბოტანთანათ. მს-
მალოს ქურთების წინამდლოლად მუსა-
ფაშა-შენდუხოვის ძმა იყოვთ და, რო-
გორც ამბობენ, ეს ამ შეტაკების დროს
მოკლესო, ჩენ გავიმარჯვეთ, მსმალოს
მხრით 100 კაცზე მეტი დარჩა ბრძო-
ლის ეკლზე და ჩენის მხრით კი მხო-
ლოთ 10 მოკლულია და 21 დაჭრილი.

მორიკის ბრძოლის ველიდამ

3ენის ოფიციალური გაზეთი „Frem-
deblatt“ ამბობს, რომ ინგლისი და პე-
სტრია ვერ მოითმენენ, რომ რუსეთ-
მა ბოლგარიისა ან რომელიმე იმის ნა-
წილის დასაკუთრება მოინდომის. უკ-
ხო ქვეყნის გაზეთებში ბეჭრის იწერებიან
ამ ქამად, რომ ვითომც რუსებს იმ გან-
ზრაციეთ დაუუუნებისა ბოლგარიაში თა-
ვის მმართველობა, იმ განზრაციეთ შე-
მოულიათ იქაურ სასამართლოებში რუ-
სული ენათ, რომ სამუდამოდ უნდათ ამ
ქვეყნის დაბყრიბათ. აი ამ გარემოების
გამო ის ამბავი ზემოხსენებულს ვენის
გაზეთში.

„ტაიმსის“ მორიკესპონდენტი ლუნა-
იდამ იწერება, რომ მას აქვთ, რაც ეს
რუს-მსმალოს ომი დაუწყოს, ორი
შესანიშნავი გარემოება მოხდა აქეთკენ
ბრძოლის ველზედათ: პირველი იყო
რუსის ჯარის ლუნაშე გადასველა და
მეორეც ნიკოპოლის ციხის აღებათ.

ამ ქალაქში, როგორც დეპეშამც
გვაცნობა, რუსებს 6,000-მდინ მსმა-

ლოს ჯარი ტყვეთ აუყვანიათ და 40 ზარბაზანი უნახვთ. ნიკოპოლის რუ- სები კიდევ ერთს ხიდს აკეოებენ დუ- ნაიზე ჯარების გადასაყვანად.

ვენიდამ ერთს პეტერბურლის გაზეთში იწერებიან:

„შანანლიკა და იამბოლს შეუ დგას 45 ბატალიონი რუსის ჯარი. ამ მოკლე ხანს აქ შეტაკებას მოელიან.

„რედიტ-ფაშა და აბდულ-მერიმ-ფა- შას შეუ უყმაყოფილება არყა. სტამ- ბოლში დიდი არეულებაა. ამბობენ, ხონთქარი მზათ ირისო, რომ შეურიგ- დეს რუსეთსაო, მაგრამ ეშინანო, რომ ბეჭისის ნაესადეურში გაჩერებულმა ინ- გლისის ჭლოტმა უეცრად სტამბოლი არ დაიჭიროს.“

საქართველო

დღიური

* * * თფილისის საქალებო გიმნაზია- ში წელს სულ 21 ქალს შეუსრულებია სწავლა და მიუღიათ შინაური მასწავლე- ბლის დიპლომი. ამათში რუსის ქალე- ბი არიან—16, სომხის—3 და ქართვე- ლები.—2.

* * * რუსულს გაზეთს „გოლი“—თფი- ლისიდამ მიღებული დეპეშა დაბეჭილ- ლი, რომელიც გვაცნობებს, რომ აქა- ურს სახელმწიფო ბანკის განკუოფილება- ში 7 ივლისამდინ 440,000 მანეთის გა- სალდა „აღმოსავლეთის სესხის“ ობლი- გაციებით. მომეტებული ნაშილი 50 და 100 მანეთიანს ბილეთებს ჰყიდუ- ლობენ.

* * * ამავე „გოლი“-ის შე-148 ნო- მერში დაბეჭილია თფილისიდამ მი- ღებული კორესპონდენცია, რომელ- შიაც რამდენიმე სიტყვა ნათქეამი ძა- კასიის ლიტერატურაზე.

ძაკასიის აქტა მხრით, კორესპონ- დენციის სიტყვით, სულ 25 პერიოდუ- ლი (დრო-გამოშვებითი) გამოცემა იბე- ჭდება; ამათში 14 რუსულს ენაზე, 6 სომხურზე, 4 ქართულზე (შემცდარია: მარტ სამი, რადგან „მუთნის-დედა ამ წლის დამდევიდამ აღარ გამოდის, რად- გან ძაკასიის სამეურნეო საზოგადოებამ უფ. ანტ. შურუცლებეს 900 მანეთის სუფსიდიის მიცემა მოუსპო) და 1 თა- თრულ, (აღარც ეს გაზეთი „კინჩი“ გამოდის).

შემდეგ თითო-ოროლა სიტყვით მო- იხსენებს თათოვეულ გაზეთს.

„ქავ კაზზე“ კორესპონდენციი ამ- ბობს, მაგალითად, რომ ეს გაზეთი აქა- ური მთავრობის ოფიციალური გაზეთი არის აღრე ჩინოვნიკებს ებარა, ახლა

უ. ვორონოვს აბარია და საინტერესო გაზეთია.

„თ ფ ი ლ ი ს ი ს მ ა მ ბ ი ს“ შესა- ხებ კორესპონდენციაში სწერია.

„ამ რამდენიმე წლის წინათ სომხის ახალგაზღვიბამ განიზრახა თავის საკუ- თარი გაზეთის დაფუძნება. მარჯვედ მოქ- იდეს ხელი ამ საქმეს. „თუ. მოამბე“ ცოცხალი გაზეთია, თავის დროზე გა- მოდის და ნიჭიერი კაცები სუემენ. ცოცხალი, მარჯვე ენით ის აშკარავებს ხოლმე სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედ- ბას, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ გადაჭრას (პრიდერეუტ) ჩინოვნიკებსა- და საზოგადო მოქმედ პირებს. არაუ- რი საჩინო და ცოცხალი ჯერ გაზეთს არა უთქვას-რა. ახალგაზღა სომხები ფიქრობენ, რომ სომხის ხალხს თუ დამოუკიდებელად არსებობა არ შეუძლიან, სხვა აქაურ ხალხებზე უპირატესი ადგილი მანც უნდა ეჭიროს და ამ ჰაზრის და-გვარად მოქმედობენ. მაგრამ ამ მხრით იმათი მოქმედება ერთობ უ- ხეიროა.“

მართულს გაზეთებზე ხსენებულს კორ- რესპონდენციაში შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„ს ა ს თ ფ ლ ი ზ ა ზ ე თ ი“ გამოდის თვეში ორჯელ; იმის მიზანი იმისივე სა- ხელიდამ სხანს; მეტის არაფრის თქმა არ შეიძლება ამ გაზეთზე.

„ზ უ თ ნ ი ს -დ ე დ ა“ აგრეთვე პეტი- ლური გაზეთია, რომელსაც აქაური სა- მეურნეო საზოგადოება აბეჭიდინებს; 500 (?) ეგზ. იბეჭიდება. პარ გაზეთზე უფრო საინტერესოა:

დ რ თ ე ბ ა, რომელიც აღრე კე- რაში სამჯერ გამოდიოდა და 1 ივნისი- დამ კი ყოველ დღე გამოდის. ზაზეთის შინაარსი ისეთივე, როგორიც სხვა ამ გვარის გაზეთებისა. „დროება“ ქარ- თველი ახალგაზღვიბის ორგანოა. დანი- შეულება ამ გაზეთისა არის გავრცელებ- ბა და დამკიდრება ამ მხარეში ქართუ- ლი ლიტერატურისა და ქართული ენი- სა და თარგმნა ქართულს ენაზედ უცხო ქეყნის საუკეთესო თხშულებათა.

„ი ვ რ ი ა“ გამოდის თვეში ოთხჯერ, თ. ჰავეჭაძის რედაქტორობით.

„მართულ გაზეთებში, აგრეთვე, რო- გორც სომხურშიაც, საფრანგეთს პირვე- ლი ალაგი უჭირას უქო ხალხებში. მხოლოდ ახლა ამ ომიანბის გამო უ- პირატესი აღილი აღმოსავლეთის საქ- მებმა დაიჭირა.“

ი კორესპონდენციის ჰაზრი თეითონ ქართველებზედ:

„მართველებს, რომელნიც თეითონ ძაკასიისა ამის მთების მომეტებულ ნა-

წილი ის მცხოვრებლებს შეადგენენ, უფრო ნაკლები გაზეთები აქვთ, ვინემც სომხებს. შევე უნდა ვსოდეთ ქართველ მოსწავ- ლებს უმწევებლებზედაც; და ეს ძალიან სამწერაო, რადგან ქართველები ნიკი- ერი და ძალიან საყარელი (კინეტიკა) არის მო- ხალხია. სოფლის ხალხი შრომის-მოყვა-

რე და პატიოსანია. საუბრდუროთ კარ- თველები ძალიან ცული ეკონომიკურს მდგრადირებაში ირდან უნდა ჩატანოს იმის გამო, რომ ვაჭრობა არ უყვაროს (†).“

* * * სომხური გაზეთი „შაკი“ გვაცნო- ბებს, ვითომც ზოგიერთს აქაურ სხვილ მემამულებს განიზრახეა აქვთ, რომ მს- მალეობიდამ გადმოსული სომხები და- სახლონ თავის მამულებში—ძარაბაღში, მრევნის ღუბერნიაში, ბორჩალოში, შუ- ბაში და სხვაგან იმ პირობით, რომ ამ თავით რამდონიმე წლის განმავალობა- ში მიწის ღალას არაფერს არ გამოარ- თოვენ.

* * * ზანჯელი კორესპონდენციი გა- ზეთის „გილის“-ისა იწერება, რომ ივ- ნისის 25-ს ამ ქალაქის საპყრობილოდამ ტუსაღებმა გაქცევა განიზრახეს; მაგ- რამ დროზე შეუტყვეს და შეაჩერესო. ამდროს რუსის კამანდას ტუსაღობებანი 10 კაცი მოუკლავს და 11 დაუჭრია; 5 სალდათს აგურით თავი აქვთ გატეხი- ლიო.

* * * „თფილისის მოამბეში“ ბაქოდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნო- ბებს. რომ იქ სდგება კამპანია, რომელ- საც განიზრახეა აქვსო, რომ ამ ქალაქი- დამ შავს ზღვამდინ მიღები გაიყვანოს ჭოტოგნისა და შეუმუშავებელი ნაეთის გადასარწყავად. ამ ხერხის საშუალო- ბით, კამპანიას იმედი აქვს რომ ბაქოს ნაეთი მთელს ქვეყანაში გაეკრცელოს, რადგან ამერიკის (პერსილვანიის) ნაეთის წყეროები თან-და თან შეებიან და ილე- ვიანო.

* * * თელავიდამ გვწერენ, რომ, დიდო- ლექტების დამშეიდების დროს, ჩენე ჯარ- სა და განსაკუთრებით თუშებს ბევრი ისეთი მოქმედება ჩაუდენიათ, რომელიც ადამიანის ხასიათისა და ღირსების და- მამცირებელ მოქმედებად უნდა ჩაითვა- ლოს. ამას წინათ ჩენეს გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, რომ ჯარმა ოთ- ხი სოფელი ლეკებისა გადაწვა და ვინც გზაზე დახვდა, არავინ დაუზოგავსთ, გა- ნუკითხავად ხოცავდნენ. ამბობენ, რომ ერთს ლექს ვილაც გულ-გაქვავებულ თუ- შმა ათივე თითები დაჭრა ხელებზე, ასე აწვალა ჯერ და მერე ხანჯლით მოკ- ლათ. სალდათებს ჩაეგდოთ ხელში ერ- თი ლექი, რომელსაც ორი ხელი მია- ჭრის თურმება მიღების და ისე გაუ- შვეს.

ზოგს სხვა ამ გვარ ამბავსაც გვწერენ, რომელიც ძნელად დასაჯერებელია.

რასკვირეელია, ჩენე არ დავიჯერებთ, რომ ჩენენი იქაური ჯარების უფროსები ამ ბარბაროსობაში მცირედებიც არის მო- ხალხის თან-და თან შეებიან და ილე- ვიანო.

ცა ვართ, რომ იმათ ეს ამბავი იქნება თავის დროშე არც კი შეუტყვიათ. მაგრამ ისინი ვალდებული იყენებ და რიგებიათ თავის ხელ-ქვევითი და დამნაშავენი სასტიკად დასაჯათ.

ნარევი

ბრძოლის ველზე ნანახი და განაგონი

მეტეორის დრუჟინას შეტაკება ჰქონდა პაბა-ზეთში მიტერთან. ბრძოლის გათავების შემდეგ, ამ დრუჟინას ერთმა ასის-თავმა მოიხმო ვინც ცოცხალი გადარჩა და ჩვეულებისამებრ, გამოუცხადა ამათ:

— მრო ჭმ. ზორღის ჯვარი მიბოძა დანერალმა, რომ ჩამოვკიდო იმათ, რომელიაც უზრო სალმა, რომ ჩამოვკიდო იმათ, რომელიაც უზრო სიმარჯვე გამოიჩინეს დღეს. ბრძოლის დროით, ვინც უფრო ლირსეულია და დავიდგე!

— მილიციონერები წავიდნენ, მოილაპარაკეს, ცოტა ხანს შემდეგ დაბრუნდნენ და გამოუცხადეს, რომ ეს და ეს პიტიები არიან ჯვრის ლირით.

ასეს თვემა ერთს ამორჩეულთაგანს დაპირდო ჯვარი, მაგრამ შეორე ჯვარი კი მილიციონერების ამორჩეულის მაგივრად თავის საკუთარ შეიღინა დაპირდო. მილიციონერებს დალიან არ მოეწონათ ამ გვარი მოქმედება თავის უფროსისა და ბოლოს ეს გარემოება იმ ატრიდის უფროსის უზრუნველყოფით, რომელმაც ჩამოხადა შეიღინა და ხალხისაგან ამორჩეულს დაპირდო; და მამასაც ასის-თაობა ჩამართვეს. მას შემდეგ იმ შეაწყილ „უჯრო-ჯვრანას“ ეძახიან თურმე.

**

„ვახლდიდამ“ დაბრუნდებულ გურულ მილიციონერს ელაპარაკებიან ქუთაისის ბულვარზე.

— რად დაბრუნდებულხარ, მრამალო?

— და დაბრუნდებია აბა ას, რომ თავი კი არ მაბია!

— არ დაჭრილხარ მრამალო, ჩემუბში?

— დამჭრებს კი არა, მეტოც მიქნებ იმ დედა-გაგლეჯლებმა; ერთ სტუცერი ფეხში მომარტებს და ერთხმა ყაზილარზა ხმალიც მითავაზე მკლავზე.

— მერა?

— მერა რაი და მე მოვრჩი, რავარც მხედავ! დოხტორებმა მითხრეს, მაგი დაკოდილი ფეხი და ხელი უნდა მოგჭრათ. მე უთხარი: ბიჭო, მოჭრათ რავა, სორც-მეტია ეს ჩემი ხული და ფეხი, თუ-თქვა! მეორე ხომ აღარ გამეზდება შე დედაცხონებულო-თქვა! სამასაროთ გავხდი ხომ, ცალი ფეხით რო ვირო თქვა! დავტრაკა, წამოვდი და ჩემნა თინიამ ქე მომარჩინა მოარჩინოს ღმერთმა!

**

მიბულეთის ატრიდს რომ გასული თვის 11-სა და 12-ს საშინელი სროლა აუტყდა ციხისძირთან, იმ ბრძოლის დროს ერთს მეტრუანელ მერაბშირეს უსახელებია თავი: ისე ტრიალობდა თურმე გაცხარებულ ხელ-ჩართულ მზში, როგორც ბზრიალა. ამბობენ, ამ მენახშირე 17 ოსმალოსა და არას წაგდებია თავიო.

ბლობს, რადგან ყოველთვის კაკა წყალს არ მოიტანს, ერთი მარჯვედ მოქნეული არაბის ხან-სიმარჯვე გამოიჩინეს დღეს. ბრძოლის დროით, ვინც უფრო ლირსეულია და დავიდგე!

— მარჯვე მიჭი იყო, ცოდვა ამის თავი რომ თაორებმა წაიღონ! დაიძა თურმე ერთმა კინტუა-მილიციონერმა და ამ ხმაზე მიგარდა ეს მილიციონერი, იყიდა ზურგზე და რა მოაქვს, ამ დროს დაწინერ, დაპირდო ხმალი და ორივე ერთად წაწყინებს. ხელი სხევები მოვარდნენ; ამათაც ეს ბედი დაემართა. სხვ რომ ბრძოლია რომ გათავდა, ამ აღაგას ორასი მეტი დახოცილი გვამინა და გარების თურმე ქართველები და თაორები, ერთი მეორეზე და უკანენ და უველავ ძირს კი ის მეტრუანელი მეტრუანელი იყოვთ...

**

ციხის-ძირი, 11 ივნისს. ბრძოლა გათავებულია. შესწყდა საშინელი სროლა, რომელმაც ამდენი რესი და განსაკუთრებით ქართველი იმსახურებოდა. მხარით ერთან ასი კაცი გურული დორუნიდამ ერთობ გაცხარებულები ანუ იქნება მოქეტებული გულ-მოდგინების დასამტკიცებელად, წამდგარან წინ და არ ათავებენ სროლას. ამ დროს ციხის-ძირის ციხიდამ ერთი ვილაც ასმლურად ჩამოუდი გამოყოფს თავს და მაღალის ხმით წმინდა რუსულის ენით დაიყვარებს:

— და დოვილი, ბუდეთ ც ვას, მერვაც!

განცხადებანი

ქილილა და მანა

თარგმნილი სპარსულიდამ ქართულ ენაზედ მეფე განცხადისაგან საბა ულებელიანისაგან. სრულათ არის დაწერილი და ყდაში ჩასტული. ზასის გადა შეიძლება ქვეთიმე ხელაძის სტამბაში. (3-2)

მალისამებრ კონტრასტულისა, რომლითაც შევეკარ მე თფილისის მალაქის გამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავილე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთშევევის საზიდო სათვის, მსუბუქი დროშებითა, ზაფრონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ უურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქს ნაკირავები კანტორა ერებნის შეიდანზედ, ალავერდოვის სახლში სასულიერო სემინარის პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

შმდაბლესად გსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიაზი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისალებლათ ბლიაზისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ზულის მიღება და ბლიაზის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დღით 8 საათიდამ ვიღრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქს პატივი გამოუცხადო ყოველთა ხაერთოთ.

თ. ი. ზ. მის ჩოლაგაშვილის
გარდაცვალებაზედ

თქმული დავით ბიგშვილისაგან ამ ივლისის თვეში გამოვა სტამბიდამ და გაისყიდება მალაქის უცელა წიგნის მაღაზიებში.

რე. გზა.	დილა.	სალაშ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	გ. კაპ	ბირჟა	გ. კაპ	მარადა	გ. კაპ.
მფილისი.	9 21	5 18			მცირე სიტყვა თფილისიდამ:		კეტერბურგი, 14 ივნისს		მფილისი, 15 ივნისს	
გცეუთა.	10 11	6 27	68	38	მუთასს, ვოხს . . .	1	მრავ მანეთი ლინს:		უქ. თეთ, ბანჯისა, უთ.	1 20
გორი.	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, ღუშეთს, სიღრანს	50	ლანდონში 24 პერსი.	78	უქილი წილელი . . .	1 —
ხაშური.	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოკის, მეტესა, მოსკოვს	2	პარიზში 262 ვანტიმი.	81	ბერი უფთო . . .	70
სურამი.	1 44		4 42	46	პემალეთში, შეერიარიაში	3	მეკუნტი(სარგებლისებაში)	7½	ბაბა, მერენისა, უფთო .	7 —
უკირილა.	5 49		5 81	3 23	ბანკის ბილეთი 5%	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, უფთო .	8 50
რიონი.	6 47		6 75	3 75	მოგბიანი(პირელისებაში)	3 50	ბაკერი ბანკი ბაბა უთ.	207	განაკვეთილი ბაბა უთ.	7 80
სამტრედია.	7 41		7 73	4 29	მოგბიანი (მეორე ესხი)	3 75	მატული თუშური უთ.	207	— თარაქაშისა უთ . . .	6 —
ას-სენაკი.	—		8 57	4 76	უორტა		ბირაოს უფრუცელები:		აბრეშუმრ ნუხერი სტ.	3 80
ვოთი.	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, მუსეთს — უკველ დღეს გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		თფილი ბირაოს უფრუცელები:		სამარგარის ნუხერი სტ.	2 20
	9 13				ბ) მუთასიდამ:		მანი, უფთო . . .		მანის სანთელი უფთო .	5 50
ას-სენაკი.	—		1 18	6 66	თფილისისა და ვოთისაენ — უკველ დღე, კვირას გარდა. მიხედვთს — სამშ. და შაბ.		ხელის ბანკის (5½)	83	მანის სანთელი სანთელი, უფთო .	6 20
სამტრედია.	11 16		2 61	14	მოსკოვის (5%). . .	90 50	სტერარინის სანთელი, უფთო .	12 —	სტერარინის სანთელი, უფთო .	12 —
რიონი.	12 13		3 41	6 69	კეც ც ე ბ ა :		ხორცის ხავართობა, ლიტრა .	158	— ცხერისა, ლიტრა .	54
უკირილა.	1 18	ღმე	3 98	2 21	ლდებს სავარაუდო რეზილიერის, გზის . . .		სპირი, გრადუსი .		სპირი, გრადუსი .	12 —
ხურამი.	5 12	1 10	5 33	2 96	შევიზურების ცეცხლის ცეცხლი . . .		შავი ზღვის ცეცხლის ცეცხლი .	465	შავარი, ბროც. უფთო .	7 80
ბაშური.	5 39	1 37	5 84	3 24	მეტერის გავაზებისა და მეტერის გავაზების ცეცხლი . . .		ბავარია, ლიტრი .	203	— ფენილი უფთო .	7 50
გორი.	7 5	4 8	7 36	4 9	და სამზღვარ გარეთ:		სანდევე. საზოგადო . . .	735 50	ზავა გრგვალი, უფთო .	25 —
გცეუთა.	8 50	6 59	9 85	4	და წიგნის	4	პეტერბ. საზღვევე. საზ.	235 50	ზეთი ქუჯუთისა უფთო .	9 —
მფილისი.	9 31	7 56	9 75	5 42	და ბეჭდილის (ხამი მისხალი).	8	მოსკოვის საზღვევე. საზ.	268 —	ოქრი 1/2 იმპერიალი . . .	7 97